# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-1277

27/12/2019

ქ. თბილისი

**„შპს „ხიბლი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 24 აპრილის №423 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

მიმდინარე წლის 1 ნოემბერს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ხიბლმა“ და ითხოვა სამინისტროს მიერ 2007 წელს №19 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2007 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „ხიბლის“ „მუყაო-თაბაშირის ფილების ქარხნის, რომელიც საწარმოო ციკლში მოიცავს მინერალური ნედლეულის - თაბაშირის გადამუშავებისა და ორი 2000 $მ^3$ მოცულობის მაზუთის საცავის განთავსების საქმიანობებს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის“ პროექტზე გაიცა №19 (16.07.2007) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმო საქმიანობის გაგრძელებას არ აპირებს და შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელმა ითხოვა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ხიბლი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 24 აპრილის №423 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ხიბლს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ხიბლის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი